

ოქროს საბადოების გენეტიური ტიპები და ოქროს მოპოვების ისტორია

ანი მარტკოფლიშვილი

ani.martkoplshvili914@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოქრო მენდელეევის პერიოდული სისტემის შემადგენელი I ჯგუფის ქიმიური ელემენტია, რომელიც ბუნებრივად ერთი იზოტოპისაგან შედგება, ესაა ¹⁹⁷Au. ლაზორატორიული გზით კი მიღებულია ოქროს 13 რადიოაქტიური იზოტოპი. ოქრო ადამიანისთვის ცნობილი ერთ-ერთი პირველი ლითონია და დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ბუნებრივ პირობებში ოქრო ძირითადად გვხვდება როგორც თვითნაბადი, ისე სხვა მეტალებთან მყარი ხსნარების სახით, მაგ: კუპროაურიდი, ბისმუტოაურიდი, პორპეციდი და სხვა. აგრეთვე ცნობილია ოქროს ტელურიდები: კალავერიტი (AuTe₂) და მონტბრეიტი (AuTe₃). ოქროს მადანი ესაა მინერალური აგრეგატი, რომელიც შეიცავს ოქროს რენტაბელურ, სამრეწველო ოდენობას. გარდა უშუალოდ ოქროს მადნებისა, ცნობილია აგრეთვე ოქროსშემცველი მადნები (სპილენძის, ნიკელის, თუთიის, ვერცხლის, რკინის, მარგანეცის) რომლებშიც ოქრო თანმხლები კომპონენტია და ხშირად სხვა მადნეულ მინერალებში- არსენოპირიტში, პირიტებში, ქალკოპირიტებში, მქრქალ მადანში (ტენანტიტი), გალენიტსა და სხვა სულფიდებში ჩანართების სახით გვხვდება.

დღეისათვის უამრავი ავტორის მიერაა შემოთავაზებული ოქროს საბადოების კლასიფიკაცია, რომლებით მეტ-ნაკლებად სუბიექტურ და ობიექტურ ფატორებზეა დაფუძნებული. დღეისათვის აღწერილია ოქროს საბადოების 16 სახეობა, თითოეული მათგანი წარმოადგენს სხვადასხვა გეოლოგიური პროცესების ინტერფერირების შედეგს და ამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ოქროს საბადოთა შორის სამრეწველო მნიშვნელობისაა: პალეოქვიშრობული, ჰიდროთერმული, ადულარ-სერიციტული ეპითერმული, ალუნიტ-კაოლინიტური ეპითერმული, ოქრო-პორფირულუ, ბრექჩიულ-ძარღვული, სკარნული, კარბონატით ჩანაცვლებული დანალექი შემცველი მიკრონული ზომის ოქროს მატარებელი, არაკარბონატულ შტოკვერკებთან დაკავშირებული, Au-Cu სულფიდებით მდიდარი ძარღვული ოქრო, ბათოლითებთან დაკავშირებული კვარცის ძარღვული, მწვანეფიქლებში არსებული კვარც-კარბონატული ძარღვების, ტურბიდიტებთან ასოცირებული კვარც-კარბონატული ძარღვების, რკინის ფორმაციასთან დაკავშირებული ძარღვაკულ-ჩანაწინწკლული ოქროს საბადოები.

ლიტერატურა

ჯაფარიძე- მყარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გეოლოგია . გამომცემლობა „განათლება“ 1994 წ - გვ 239-241.